"Gen Z" საქართველოში:

აღქმები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ინტერესები

2025 წლის კვლევის ძირითადი მიგნებები

ავტორები: ნინო მჟავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, რევაზ ჩარკვიანი

YOUTH AND SOCIAL RESEARCH CENTER

UNIVERSITY OF GEORGIA

UG ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი

ცენტრი იკვლევს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, გამოცდილებებს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას. დაფარვის არეალი: საქართველო

მონაცემების გამოყენებისას გთხოვთ, გამოიყენოთ ციტირების შემდეგი ფორმა:

APA სტილი: მჟავანაძე, ნ., ქარუმიძე, ქ., & ჩარკვიანი, რ. (2025). “Gen Z” საქართველოში: აღქმები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ინტერესები. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

ზოგადი სტილი: ნინო მჟავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, და რევაზ ჩარკვიანი. 2025. ""Gen Z" საქართველოში: აღქმები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ინტერესები" ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

"Gen Z" საქართველოში: აღქმები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ინტერესები

მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია **"Gen Z"** თაობის (18-28 წ.) ღირებულებების, აღქმებისა და დამოკიდებულებების კომპლექსური შესწავლა.

ძირითადი თემები

- Gen Z-ის ღირებულებითი ორიენტირები
- დამოკიდებულებები მთავრობებისა და მოქალაქის როლისადმი
- პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკური კომპეტენციის განცდა
- სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა: მოტივატორები და ბარიერები

კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევა

- **მეთოდი:** ფოკუს ჯგუფები
- **ფორმატი:** 4 ონლაინ ფოკუს ჯგუფი (ZOOM).
- **მონაწილეები:** "Gen Z"-ის წარმომადგენლები (18-28 წელი), 6 მონაწილე თითო ჯგუფში.
- **შერჩევა:** კვოტური
  - ასაკისა (18-23წ. vs 24-28წ.)
  - და საცხოვრებელი ადგილის - ქალაქი vs სოფელი - მიხედვით.
- **საველე პერიოდი:** 2-4 მაისი, 2025 წ.
- **ხანგრძლივობა:** საშუალოდ 90 წუთი.

რაოდენობრივი კვლევა

- **მეთოდი:** სატელეფონო გამოკითხვა
- **ფორმატი:** 1000 სატელეფონო ინტერვიუ (CATI).
- **სამიზნე ჯგუფი:** 18-28 წლის ახალგაზრდები საქართველოში.
- **შერჩევა:** მარტივი შემთხვევითი შერჩევა - ნომრის შემთხვევითი აკრეფვის მეთოდი (RDD).
- **საველე პერიოდი:** 4 ივნისი - 1 ივლისი, 2025 წ.
- **საშუალო ცდომილების ზღვარი:** ±2%;
- **გამოპასუხების დონე:** 15%.
- **ხანგრძლივობა:** საშუალოდ 15 წუთი.

თეორიული ჩარჩო: დაგეგმილი ქცევის თეორია (TPB) სამოქალაქო მოხალისეობის მოდელი (CVM) სოციალურ-კოგნიტურ თეორია (SCT) ევოლუციური ემანსიპაციის თეორია (EET)

Gen Z-ის ღირებულებითი ორიენტირები

ღირებული საკითხები ახალგაზრდებისთვის

67% სამ მთავარ საკითხს შორის **სამართლიანობასთან** დაკავშირებულ რომელიმე საკითხს ირჩევს.

დემოგრაფიული ტენდეციები:

სქესი: სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს **ქალები** უფრო ხშირად ასახელებენ (75%), ვიდრე კაცები (59%);

საცხოვრებელი ადგილი: უფრო გავრცელებულია **დედაქალაქში** (74%), ვიდრე სხვა ქალაქებში (64%) და სოფლებში (62%).

გრაფიკი #1. ჩამოთვლილთაგან, რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული? გთხოვთ აირჩიოთ არაუმეტეს სამი პასუხისა (%)



ღირებულებათა პრიორიტეტები ახალგაზრდებისთვის

ახალგაზრდები კონფორმისტულ ღირებულებებთან (მორჩილება, რელიგიური რწმენა) შედარებით, **უპირატესობას ავტონომიურ ღირებულებებს ანიჭებენ** (დამოუკიდებლობა, მიზანდასახულობა)

გრაფიკი #2. ჩამოთვლილთაგან რომელი ხუთი თვისებაა მნიშვნელოვანი, რომლებსაც ბავშვებს სახლში უნდა ასწავლიდნენ? (%)



ავტონომიური ღირებულებები

დემოგრაფიული ტენდეციები:

ავტონომიური ღირებულებები ყველაზე მეტად დამახასიათებელია:

- **ქალებისთვის** (61%)
- **საშუალოზე მაღალი განათლების** მქონე ახალგაზრდებისთვის (57%)
- **დედაქალაქში** მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (58%)

ავტონომიურობის ინდექსის საშუალო ქულაა +0.59 – ახალგაზრდების ღირებულებითი სისტემა პიროვნული ავტონომიურობისკენ იხრება.

გრაფიკი #3. პერსონალური ავტონომიურობის ინდექსი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (%)



ფატალიზმის აღქმა ახალგაზრდებში

რწმენა, რომ ადამიანები თავად მართავენ საკუთარ ცხოვრებას, უფრო მეტად გავრცელებულია:

- **ურბანულ დასახლებებში** უფრო მეტი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ ადამიანები საკუთარ ბედს განაგებენ, ვიდრე სოფელში – დედაქალაქში (81%), ვიდრე სოფლად (65%).
- სხვა დემოგრაფიული განხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი #4. რომელ მოსაზრებას ეთანხმებით: ცხოვრებაში ყველაფერი ბედისწერას ემორჩილება თუ ადამიანები თავად განაგებენ საკუთარ ბედს? (%)



დამოკიდებულებები მთავრობებისა და მოქალაქის როლისადმი

მთავრობების როლის აღქმა ახალგაზრდებში

დემოგრაფიული ტენდეციები:

- მთავრობის, როგორც „მზრუნველი მშობლის“, აღქმა ყველაზე მეტად **სოფლად** მცხოვრებ ახალგაზრდებს ახასიათებთ (58%), ხოლო ყველაზე ნაკლებად — დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს (32%).
- სხვა დემოგრაფიული განხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი #5. რომელ მოსაზრებას ეთანხმებით: “ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე” თუ “მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას” (%)



პროტესტისადმი დამოკიდებულება ახალგაზრდებში

დემოგრაფიული ტენდეციები:

- **ურბანულ დასახლებებში** უფრო მაღალია საპროტესტო აქციებში ჩართულობის მხარდაჭერა (60%);
- **საშუალოზე მაღალი განათლების** მქონე ახალგაზრდებში უფრო მაღალია საპროტესქტო აქციებში ჩართულობის მხარდაჭერა (60%)
- სხვა დემოგრაფიული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი #6. რომელ მოსაზრებას ეთანხმებით: "ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა." თუ "ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ქვეყანაში." (%)



პოლიტიკაში ჩართულობის აღქმა ახალგაზრდებში

დემოგრაფიული ტენდეციები:

- **უფროსი ასაკის (24-28 წლის)** ახალგაზრდები მნიშვნელოვნად უფრო ხშირად მიიჩნევენ პოლიტიკას „ბინძურ საქმედ“ (36%), ვიდრე უფრო ახალგაზრდა (18-23 წლის) რესპონდენტები (25%);
- პოლიტიკური აპათია **განათლების დაბალ დონეს** უკავშირდება (37%);
- სხვა დემოგრაფიული განხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი #7. რომელ მოსაზრებას ეთანხმებით: "პოლიტიკა ბინძური საქმეა და მე არ მინდა ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობა." თუ "ყველა ქართველის მოქალაქეობრივი ვალია პოლიტიკაში ჩართვა იმისთვის, რომ უკეთესი ქვეყანა ავაშენოთ." (%)



“კარგი მოქალაქის” მახასიათებლები ახალგაზრდების შეფასებით

გრაფიკი #8. რამდენად მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელოა კარგი მოქალაქისთვის... (%)



თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ ახალგაზრდებს უჭირთ დაასახელონ, თუ ვის მიიჩნევენ “კარგი მოქალაქედ”:

> *“ესეთი არა სამწუხაროდ, ესე გამორჩეულად სანიმუშოს სამწუხაროდ ვერ გავიხსენებ” – ქალი, 28 წლის, თბილისი*

“კარგი მოქალაქის” მახასიათებლები – მთავრობების მხარდაჭერა

დემოგრაფიული ტენდეციები:

- მთავრობების უპირობო მხარდაჭერის იდეას ყველაზე მეტად **სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები** იზიარებენ (47%), ხოლო ყველაზე ნაკლებად დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები (32%);
- სხვა დემოგრაფიული განხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი #9. რამდენად მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელოა კარგი მოქალაქისთვის ყოველთვის მხარი დაუჭიროს მთავრობას? (%)



პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკური კომპეტენციის განცდა

პოლიტიკისადმი ინტერესი ახალგაზრდებში

გრაფიკი #10. ზოგადად, რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები? (%)



დაბალი ჩართულობა:

ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (58%) **იშვიათად ან საერთოდ არ საუბრობს** სოციალურ–პოლიტიკურ საკითხებზე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. მხოლოდ მეოთხედი (25%) განიხილავს ასეთ თემებს ხშირად.

ინტერესის ბუნება (თვისებრივი ანალიზი):

ინტერესი განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკა მათ პირად ცხოვრებასა და ქვეყნის მომავალზე ახდენს გავლენას.

ინფორმირებულობა და ინფორმაციის წყაროები

გრაფიკი #11. ჩვეულებრივ, რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე?(%)



თვისებრივი კვლევის მიხედვით, პოლიტიკისა და სოციალური საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მონაწილე ახალგაზრდები არცერთი საჯარო პირის მოსაზრებებს არ ენდობიან.

სხვა: “ტაბულა”, “პალიტრა TV”, “ბათუმელები”, “მაესტრო”, “პოს TV”, “ნეტგაზეთი”, აჭარა TV “ობიექტივი”,” მისმინე”, “კავკასია”.

პოლიტიკური კომპეტენციის განცდა

პოლიტიკური კომპეტენციის საშუალო ინდექსი = 2.5

ახალგაზრდების მხოლოდ 24%-ს აქვს პოლიტიკური კომპეტენციის მაღალი განცდა (3 და 4 ქულა).

გრაფიკი #12 რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (%)



პოლიტიკური კომპეტენციის აღქმა – მოქალაქეების გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე

ახალგაზრდები, საშუალოდ, თვლიან, რომ სამოქალაქო ქმედებებს **უფრო აქვს გავლენა პოლიტიკაზე, ვიდრე არა.** (საშუალო ქულა 3.005).

ყველაზე ეფექტური აქტივობები (თვისებრივი კვლევა):

- **არჩევნები:** რადგან „ქვეყნის ბედს წყვეტს“.
- **საინიციატივო ჯგუფები:** რადგან „ერთიანობას აქვს ძალა“.
- **პროტესტი:** რადგან „აქამდე მოუტანია შედეგი“.

გრაფიკი #13. მოქალაქის პოლიტიკური ეფექტიანობის აღქმა – რამდენად აქვს ან არ აქვს გავლენა მოქალაქეების მიერ განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს ქართულ პოლიტიკაზე (%)



არჩევნებში მონაწილეობის მოტივატორები

თვისებრივი კვლევის მიხედვითაც, არჩევნებში მონაწილეობა **მოქალაქეობრივ ვალდებულებად** მიიჩნევა და რომელსაც „არმონაწილეობის გამამართლებელი“ მიზეზები არ გააჩნია.

გარდა ამისა, ძირითად მოტივატორ ფაქტორად **ცვლილებების მოტანის სურვილი** და რიგ შემთხვევებში **საკუთარი პოზიციის დაფიქსირება** დასახელდა.

გრაფიკი #14. არჩევნებში მონაწილეობის მოტივაცია (%)



არჩევნებში მონაწილეობის ბარიერები

გრაფიკი #15. არჩევნებში მონაწილეობის ბარიერები (%)



თვისებრივი კვლევაში რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ზოგადად, **პარტიებისადმი უნდობლობა** და მათ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა პრობლემური საკითხია.

მცირე შემთხვევებში კი არჩევნებში არმონაწილეობა მოსალოდნელ **იმედგამაცრუებელ შედეგს** უკავშირდება.

სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა

ფორმალური VS არაფორმალური აქტივობები

თვისებრივი კვლევის მიხედვით, ახალგაზრდები, უპირატესობას **არაფორმალურ აქტივობებს** რამდენიმე მიზეზის გამო ანიჭებენ:

- მეტი **მოქნილობა.**
- **თანამოაზრეთა** წრეში ყოფნის შესაძლებლობა.
- უფრო **მარტივი კომუნიკაცია.**

“მე პირადი გამოცდილებიდან არაფორმალური უფრო მირჩევნია იმიტომ, რომ შეხება მაქვს და გამოცდილება მქონია, რომ უფრო მიმარტივდებოდა. ეხლა კლუბში ვარ ჩართული, სადაც ესეთ თემებზე ხშირად არის ხოლმე საუბარი და ვფიქრობ, ეს უფრო გამიმარტივდება და რაღაც უფრო მეგობრული გარემო იქნება” – კაცი, 19 წლის, ქალაქში მცხოვრები.

გრაფიკი #16. პირადად თქვენ ხართ თუ არა... (%)

აქტივობებში ჩართულობის ფორმები

გრაფიკი #17. ბოლო 12 თვის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა შემდეგი? (%)



ყოველი მეხუთე ახალგაზრდა **(21%)** ჩართული იყო სხვადასხვა სახის **საპროტესტო** აქტივობაში.

საპროტესტო აქტივობებში ჩართულობა – დემოგრაფიული ტენდენციები

დემოგრაფიული ანალიზი:

- **საცხოვრებელი ადგილი:** ურბანულ დასახლებებში უფრო მაღალია საპროტესტო აქტივობებში მონაწილეობის წილი, ვიდრე სოფლად.
- **სქესი:** ქალების ჩართულობის წილი უფრო მაღალია ვიდრე კაცების.
- **განათლება:** საშუალოზე მაღალი განათლების მქონე ახალგაზრდებში უფრო გავრცელებულია საპროტესტო აქტივობებში მონაწილეობა

გრაფიკი #18. საპროტესტო მოქმედებებში ჩართულობის სიხშირე დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (%)



საპროტესტო აქტივობებში ჩართულობა – მოტივატორები

დემოგრაფიული ანალიზი:

- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (**86%**) უფრო ხშირად ასახელებენ ცვლილებების სურვილს, ვიდრე ეთნიკურად ქართველები (**49%**).
- სხვა დემოგრაფიული განხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი #19. საპროტესტო აქტივობებში მონაწილეობის მოტივატორები (%)



საპროტესტო აქტივობებში ჩართულობა – ბარიერები

გრაფიკი #20. პროტესტში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერები (%)



თვისებრივ კვლევაში მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად **არაუსაფრთხო გარემო – ფიზიკური და სოციალური (სამსახურიდან გაშვების) საფრთხე** – სახელდება; განსაკუთრებულ ყურადღებას აქციებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე ამახვილებენ.

სოციალურ/საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობა

ახალგაზრდების 40% ჩართულია ერთ-ერთ მათგანში მაინც.

გრაფიკი #21. სოციალურ/საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობა (გარდა პროტესტისა) (%)



სოციალურ/საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობა – მოტივატორები

დემოგრაფიული ანალიზი:

- ორი მთავარი მოტივაცია გავრცელებულია სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში (ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკურობისა და განათლების მიხედვით).
- ჯგუფებს შორის არსებული პროცენტული სხვაობები **სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.**

გრაფიკი #22. საზოგადოებრივ აქტივობებში (გარდა პროტესტისა) მონაწილეობის მოტივატორები (%)



სოციალურ/საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობა – ბარიერები

ბარიერი #1: ინტერესის არქონა

ამ ბარიერს სხვებზე ხშირად ასახელებენ:

- **ასაკი:** უფროსი ასაკის (24-28 წლის) ახალგაზრდები (**36%**), ვიდრე 18-23 წლის ახალგაზრდები (**26%**).
- **სქესი:** კაცები (**37%**), ვიდრე ქალები (**24%**).

ბარიერი #2: დროის ნაკლებობა

ამ ბარიერს სხვებზე ხშირად ასახელებენ:

- **სქესი:** ქალები (**33%**), ვიდრე კაცები (**23%**).
- **ეთნიკური კუთვნილება:** ეთნიკურად ქართველები (**31%**), ვიდრე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (**11%**).

გრაფიკი #23. საზოგადოებრივ აქტივობებში (გარდა პროტესტისა) მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერები (%)



ონლაინ ჩართულობის ფორმები

ახალგაზრდების **11%** ამბობს, რომ ჩამოთვლილ აქტივობებთაგან ერთ-ერთში მაინც მიუღია მონაწილეობა.

რეალურ vs. ონლაინ სივრცეში აქტივობა

თვისებრივი კვლევის მიხედვით, რეალურ აქტივობას ახალგაზრდები უფრო შედეგიანად და ძლიერად აღიქვამენ, რადგან ის ხილვადია.

ონლაინ აქტივობა კი ძირითადად, ინფორმაციის გავრცელებისთვის სასარგებლო ინსტრუმენტად მიიჩნევა.

გრაფიკი #24. ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა შემდეგი სოციალური ქსელით სარგებლობისას? (%)

ონლაინ აქტივობებში ჩართულობა - მოტივატორები

თვისებრივი კვლევის მონაწილეების ჩართულობის მთავარი მოტივაცია – *„დუმილი რომ არ მენანა“.*

„თავიდან მქონდა შიში, დავკარგავდი ახლობლებს, მეგობრებს... შიშსაც ვერ ვიტყვი, უბრალოდ მაინც თავს ვიკავებდი, მაგრამ ბოლოს მაქსიმალურად ვეცადე რომ ჩემი სათქმელი მეთქვა, რომ მერე ეს არ მენანა, გაუთქმელობა და უმოქმედობა.” – კაცი, 20 წლის, სოფელი

გრაფიკი #25. ონლაინ აქტივობებში მონაწილეობის მოტივატორები (%)



შენიშვნა: N=152

ონლაინ აქტივობებში ჩართულობა – ბარიერები

თვისებრივ კველვაში ბარიერებად **უსაფრთხოების** საკითხი (დაშანტაჟების ტექსტები) და ონლაინ **დაპირისპირების** თავიდან არიდების სურვილი დასახელდა.

ასევე, მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ „არ უყვართ“ ონლაინ აზრის გამოხატვა ან მიაჩნიათ, რომ ამ ტიპის აქტივობა საკმარისი არ არის.

> *“ვერ ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ იმიტომ, რომ სადღაც სამი თვის წინ, თუ არ ვცდები, პოსტი მედო დღევანდელობასთან დაკავშირებით და ვიღაც ადამიანები, არ ვიცი იმ ექაუნთების სახელი გვარები, მაგრამ დაშანტაჟების ტექსტები იყო, რომ „ეს პოსტი წაშალე თორემ რაღაცა“. დღეს არ ვართ არაფერში დაცულები ყველანაირად ცდილობენ, რომ ჩვენ ჩვენი სიტყვა შეგვიზღუდონ“ – ქალი, 19 წლის, ქალაქი*

გრაფიკი #26. ონლაინ აქტივობებში მონაწილეობის მოტივატორები (%)



შეჯამება

პრიორიტეტები და ღირებულებები

- **პრიორიტეტები:** ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს სამართალთან დაკავშრებული საკითხები წარმოადგენს (ადამიანის უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა) წარმოადგენს.
    - სამართალთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე ხშირად ქალებისთვის (75%) და დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდებისთვისაა (74%) პრიორიტეტული.
- **Gen Z იხრება პიროვნული ავტონომიური ღირებულებებისკენ** (ინდექსი = +0.59):
    - ავტონომიური ღირებულებები ყველაზე მეტად დამახასიათებელია: ქალებისთვის (61%) საშუალოზე მაღალი განათლების მქონე ახალგაზრდებისთვის (57%) დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (58%)
- მთავრობების **პატერნალისტური აღქმა** გავრცელებულია (46%), განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში;
- **პოლიტიკური კომპეტენციის განცდა** (ინდექსი = 2.5): გამოკითხულთა მხოლოდ 24%-ს აქვს პოლიტიკური კომპეტენციის მაღალი განცდა.
    - ახალგაზრდები, თვლიან, რომ სამოქალაქო ქმედებებს უფრო აქვს გავლენა პოლიტიკაზე, ვიდრე არა (ინდექსი = 3).

სამოქალაქო პროცესებში ჩართულობა

- **ფორმალური სტრუქტურებისგან დისტანცირება:** ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა (94%-99%) არ არის გაწევრიანებული ფორმალურ ორგანიზაციებში, პარტიებსა თუ კლუბებში.
    - **მოქნილობის მოთხოვნილება:** უპირატესობა ენიჭება არაფორმალურ აქტივობებს, რადგან ისინი ახალგაზრდებს მეტ მოქნილობას და თანამოაზრეთა წრეში ყოფნის კომფორტს სთავაზობს.
- **არჩევნები, როგორც მთავარი ინსტრუმენტი:** აღიქმება მოქალაქეობრივ მოვალეობად (82%) და ცვლილებების მოტანის ყველაზე ქმედით გზად.
- **პროტესტებში ჩართულობა:** (2025 წლის ივნისის მდგომარეობით) ეროვნულ დონეზე ახალგაზრდების 21%, მათ შორის თბილისში 33%, მონაწილეობდა პროტესტთან დაკავშირებულ აქტივობებში. აქციები განიხილება, როგორც ხალხის ძალის ჩვენების და შედეგის მიღწევის ლეგიტიმური გზა;.
- **ონლაინ აქტივიზმი დაბალია** (11%).

სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის მოტივაციები და ბარიერები

- **ჩართულობასთან დაკავშირებული მოტივაციები:** ცვლილებების მოტანა/სიტუაციის გაუმჯობესება, მოქალაქეობრივი ვალის მოხდა, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების სურვილი, სოლიდარობის მხარდაჭერის გამოხატვა;
- **ჩართულობასთან დაკავშირებული ბარიერები:** დრო, ინტერესის არქონა, ნიჰილიზმი;
    - **შიშის ფაქტორი (თვისებრივი კვლევის მიგნება):** დასახელდა ფიზიკური და სოციალური უსაფრთხოების გარემოს არარსებობა (მაგ: სამსახურის დაკარგვის შიში ან ონლაინ სივრცეში ბულინგისა და დაპირისპირების შიში).

მადლობა ყურადღებისთვის!

მონაცემების გამოყენებისას გთხოვთ, გამოიყენოთ ციტირების შემდეგი ფორმა:

APA სტილი: მჟავანაძე, ნ., ქარუმიძე, ქ., & ჩარკვიანი, რ. (2025). “Gen Z” საქართველოში: აღქმები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ინტერესები. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

ზოგადი სტილი: ნინო მჟავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, და რევაზ ჩარკვიანი. 2025. ""Gen Z" საქართველოში: აღქმები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ინტერესები" ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.